პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 163 (5972)

20

1977 წ.
აგვისტო,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1924 წლის 18 აპრილიდან

დამთავრდა
სსრ კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება

18 აგვისტოს კრემლში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბროზ ტიტოს მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც მეგობრობისა და ამხანაგური ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, გრძელდებოდა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყოველმხრივი მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხების განხილვა.

განიხილეს აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს გამალებული შეიარაღების შეზღუდვა, დაძაბულობის კერებისა და კონფლიქტური სიტუაციების ლიკვიდაცია. განიხილეს მსოფლიოში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების მიზნით მთელი პროგრესული ძალების ურთიერთმოქმედების განმტკიცების შესაძლებლობანი. აღინიშნა, რომ საჭიროა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის დებულებათა თანამიმდევრული რეალიზაცია, რათა კონტინენტზე შეიქმნას კონფრონტაციისა და ომის საშინელებისაგან თავისუფალი თანამშრომლობის ვითარება.

გაგრძელდა აზრთა გაზიარება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთ საკითხზე.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ — იუგოსლავიის მოლაპარაკებისა და მისი შედეგების გამო.

მოლაპარაკების შედეგების შესახებ შეთანხმებულია საბჭოთა კავშირ — იუგოსლავიის ერთობლივი კომუნიკე (საქინფორმი).

„სპარტაკის" თასი — საქართველოს ჩემპიონს

მოსკოვის მახლობლად სადგურ „პლანერნაიაზე" რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს 1977 წლის პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში. საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში „სპარტაკის" თასზე. აქ ყველა მეტოქეს აჯობა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ოჩამჩირელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, საქართველოს 1977 წლის აბსოლუტურმა ჩემპიონმა მ. სამველიანმა, რომელმაც ცხენ „გერეკზე" დისტანცია უშეცდომოდ განვლო. სამველიანმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. სპორტის ოსტატი ხ. სიმონია ამ სახეობაში მეოთხე ადგილს დასჯერდა (სპორტსმენი ასპარეზობდა ცხენ „ტიპჩაკზე"). ჩვენი გუნდის მესამე წარმომადგენელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. ტუაევი ცხენ „მაიბუტნიზე" მეათე იყო. გუნდური პირველი ადგილი ყაზახეთის ცხენოსნებმა დაიკავეს (105 ქულა). მეორე ადგილი წილად ხვდათ მოსკოველებს (87), ხოლო მესამე საქართველოს ცხენოსნებს (75).

ნ. სიჟინავა.

მოსკოვის არმიელებთან მატჩში თავი გამოიჩინა თბილისელთა ნახევარმცველმა დარასელიამ (ზედა სურათზე, ნახტომში). ძალზე სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ისევ იბრუნებს ჩვეულ სპორტულ ფორმას. პროდუქტულად, სასარგებლოდ მოთამაშე დარასელია ამ მატჩში მოსკოველთა კარში გატანილი პირველი გოლის ავტორიც არის.

ქორიძე (ქვედა სურათზე) შეხვედრის მეორე ნახევარში საკმაოდ ხშირად უტევდა მეტოქის კარს. ეს ფოტოც ფეხბურთელის მიერ ცსკა-ს კარის „მოსინჯვის" კიდევ ერთ ცდაზე ლაპარაკობს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ფეხბურთი

(მატჩის ანგარიში იხილეთ მე-3 გვერდზე)

აბალაკოვის პიკი დაპყრობილია

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პამირის მწვერვალებს დალაშქრავენ ქართველი მთამსვლელები, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით ასპარეზობენ სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში. მაშველი ჯგუფის ხელმძღვანელი გ. საჯაია გვატყობინებს, რომ მყინვარ ფორტამბეკიდან მიღებულია რადიოგრამა — **ბიძი ქართველიშვილის ჯგუფმა შტურმის მეცხრე დღეს გადალახა უკანასკნელი ყინულოვანი წინაღობები და ჩრდილოეთის უვალი გზით მიაღწია ევგენი აბალაკოვის პიკის მწვერვალს.**

უახლოეს დღეებში ჯგუფი საბაზო ბანაკში დაეშვება პამირფირნის პლატოთი.

მოტოსპორტი

სტოკჰოლმის მიდამოებში გაიმართა მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლოსწინა ეტაპის შეჯიბრება. „250-ანებით" ასპარეზობაში კვლავ წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები გ. კავინოვი და გ. მოისეევი. ფინიშთან პირველი იყო კავინოვი. მოისეევი II ადგილზე გავიდა. ამის მიუხედავად, ლენინგრადელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. მოისეევმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის სახელი, ასევე ვერცხლის მედალი უკვე დაისაკუთრა კავინოვმა. ბოლო ეტაპი ფინეთში ჩატარდება.

მძლეოსნობა

ბრიუსელი (საქინფორმი). ცნობილმა ახალზელანდიელმა მორბენალმა ჯ. უოკერმა აქ გამართულ შეჯიბრებაში 1500 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება სცადა. მართალია, მან წლევანდელ სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი (3.32,7) აჩვენა, მაგრამ ტანზანიელ ფ. ბეის მსოფლიო რეკორდი (3.32,2) ამჯერად გადარჩა.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა პოლონელმა ი. ვშოლამ სიმაღლეზე ხტომაში ცდებით წააგო მსოფლიო ექსრეკორდსმენთან, ამერიკელ დ. სტოუნზთან. ორივემ 227 სმ გადალახა.

კენიელებმა ამ შეჯიბრებაში ორი დისტანცია მოიგეს: მ. ბოიტმა ყველაზე სწრაფად დაფარა 800 მეტრი — 1.45,2, 10000 მეტრზე ასპარეზობაში კი მსოფლიო რეკორდსმენმა ს. კიმომბვამ 28.26,4 აჩვენა. 400 მეტრზე რბენაში წლეულს ევროპელ სპორტსმენებისთვის საუკეთესო შედეგით ფინიშთან პირველი მივიდა ბელგიელი ა. ბრიდენბახი — 45,13.

უნივერსიადის ზეიმი ბულგარეთის მიწაზე

სოფია, 17 აგვისტო. სოფიაში საზეიმოდ გაიხსნა უნივერსიადა-77. მსოფლიო სტუდენტურ თამაშებში მონაწილეობენ 90 ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენები, რომელთა შორის ოლიმპიადებისა და მსოფლიო ჩემპიონატების მრავალი პრიზიორია.

სტუმართმოყვარე ბულგარეთი მეორედ მასპინძლობს ხუთი კონტინენტის ახალგაზრდა წარგზავნილებს. რა თქმა უნდა, უნივერსიადა-77-ის მოსამზადებლად დიდი მუშაობა ჩატარდა. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, მეცნიერების, ტექნიკური პროგრესისა და უმაღლესი განათლების დარგში სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. პაპაზოვმა თქვა: „შეჯიბრებებისთვის, რომელიც 18 აგვისტოს დაიწყება, ყველაფერი მზადაა. ძველ ბაზებთან ერთად სპორტსმენები 24 ახალ ობიექტზე იასპარეზებენ.

თამაშებისადმი დიდი ინტერესი იმითაც აიხსნება, რომ უნივერსიადა მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპია".

ახლანდელმა უნივერსიადამ ესტაფეტა მიიღო მოსკოვიდან, სადაც თამაშები შედგა 1973 წელს. ახლაც, როგორც ოთხი წლის წინათ, პროგრამაშია: ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი და ფარიკაობა. ორგანიზატორმა — ბულგარეთის სტუდენტთა სპორტულმა საზოგადოება „აკადემიკმა" — სპორტის მეათე სახეობად დაასახელა თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა.

...17 აგვისტოს ათი ათასობით ბულგარელმა და უცხოელმა ტურისტმა პირთამდე აავსეს ვასილი ლევსკის სახელობის ლამაზად მორთული სტადიონი. უნივერსიადის საპატიო სტუმარია ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია.

...მიჩუმდა სტადიონი. ახმიანდნენ დაფდაფები. სარბენ ბილიკებზე გამოვიდნენ მედროშეები. გაიმართა თამაშების მონაწილეთა პარადი.

ჟღერს ძველისძველი სტუდენტური ჰიმნი — „გაუდეამუს იგიტური". დაანთეს უნივერსიადის ცეცხლი.

შემდეგ სტუდენტური ფორუმის მონაწილეებმა დადეს ფიცი და დაიწყო ტანვარჯიშული პროგრამა — „სპორტი და მეცნიერება, მშვიდობა და მეგობრობა".

უნივერსიადა მიმდინარეობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის პატრონაჟის ქვეშ.

ამხ. ტ. ჟივკოვი მიესალმა სტუდენტური თამაშების მონაწილეებს და იმედი გამოთქვა, რომ შეჯიბრება ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობას შორის მეგობრობის განმტკიცებას.

სოფია, 18 აგვისტო. დაიწყო უნივერსიადა-77. პირველ დღეს ჩატარდა შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, ტანვარჯიშსა და ფარიკაობაში. ფრენბურთელთა შეჯიბრება გახსნეს ბულგარეთისა და შვეიცარიის ქალთა გუნდებმა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0. საბჭოთა ვაჟებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს კუვეიტის ნაკრები.

— თვით ალაჰიც კი ვერ დაგვეხმარებოდა ისეთი ძლიერი გუნდის დამარცხებაში, როგორიცაა საბჭოთა ნაკრები — განაცხადა კუვეიტის დელეგაციის ხელმძღვანელმა საიფ აბასმა.

ფრენბურთელთა ტურნირში მონაწიობს 23 ვაჟთა და 19 ქალთა გუნდი, კალათბურთში კი — 32 ვაჟთა და 19 ქალთა კოლექტივი. საინტერესო ბრძოლაში დაამარცხეს აშშ-ის კალათბურთელმა ქალებმა უნგრეთის გუნდი — 76:66.

„მხოლოდ შეჯიბრებები როდი ამშვენებს უნივერსიადა-77-ს. იგი აახლოებს ხალხებს. ერთი შეხედეთ სპორტულ მოედნებზე მებრძოლი ათასობით სპორტსმენები როგორ მეგობრობენ", — გვითხრა აშშ-ის მძლეოსნური გუნდის კაპიტანმა, სპრინტერმა ჰარვი გლანსმა.

„სპორტული თვალსაზრისით, უნივერსიადა, — თქვა კუბის სტუდენტი ახალგაზრდობის ეროვნული საბჭოს ფედერაციის წევრმა ხულიო კარენმა, — ოლიმპიური თამაშების შემდეგ ყველაზე დიდი ასპარეზობაა. აქ თავს იყრიან მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მისი მეორე მხარე — მსოფლიოს ახალგაზრდების შეხვედრა, რომელიც განუმეორებელ ატმოსფეროს ქმნის. ჩვენთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მომავალ წელს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI საერთაშორისო ფესტივალს კუბა უმასპინძლებს". (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

მულახელების სიტყვა და საქმე

> „როცა ვაყენებთ რომელიმე პრობლემას, მათ შორის ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების პრობლემას, სპორტული ბაზებისა და სპორტული მოედნების მშენებლობის პრობლემას, ჩვენ უწინარეს ყოვლისა ხაზს ვუსვამთ მის სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, პრობლემის საზოგადოებრივ საჭიროობას და ჩვენც ყველამ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ".



შარშან ზაფხულში ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტბიუროს მდივანი ერთად მოვიხელთე და საყვედური გამოვთქვი მათს სოფელში სპორტული ბაზების უსუსური მდგომარეობის გამო.

— მეტის გაკეთება ვეღარ შევძელით, — მივიღე პასუხი.

— ახალგაზრდობა, მათი შემართება?

— ვიდრე მათ დარაზმავდე, შენი დაგემართება!

მივუხვდი, ეს ხალხი თავის უნიათობას მოურიდებლად ამართლებენ თანხის სიმცირით, ახალგაზრდობის დაუინტერესებლობითა და ათასი სხვა მიზეზით.

გავიდა წელი და ახლა მომეცა საშუალება ერთი ცოცხალი მაგალითის დამოწმებით პასუხი გავცე ამ ურწმუნო ხელმძღვანელებს, შევძახო მათ და ყველას, ვინც კი მათი შეხედულებებით ცხოვრობს, — თუ რა სასწაულების ჩადენა შეუძლია ახალგაზრდობას, სოფელს, თუ სწორად წარმართავ მათ საქმეს, ჭეშმარიტად დაინტერესდები მოზარდი თაობის ბედით და სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას სოციალური პრობლემის აუცილებელ ნაწილად მიიჩნევ!

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მშენებლობაზე ორმოცდაათმა სვანმა ჭაბუკმა ისახელა თავი. ყოველი მათგანი მულახის ლაშაში ხეობიდან იყო. მულახელმა ახალგაზრდებმა უკანასკნელი დღეც სასახელოდ დაამთავრეს და თავიანთი საქმიანობის შეჯამების შემდეგ ერთი აზრი დაებადათ.

— ბიჭებო, — მიმართა გუჯა ქორქიანმა თანატოლებს, — კულტურის ამ კერის მშენებლობაზე კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ჩვენი ხახელავით შეგვიძლია გასახარი საქმე ვაკეთოთ, მოდით, მხარში ამოვიყენოთ სხვებიც და დიდი ხნის ნანატრი სპორტული დარბაზითა და კულტურის სახლით დავამშვენოთ ჩვენი მულახი!

ახალგაზრდებმა ეს იდეა მათთან ჩასულ მესტიის კომკავშირის რაიკომის მდივანს ბორის კახიანს გაანდეს, შემდეგ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტსაც აცნობეს თავიანთი გადაწყვეტილება. პარტიის რაიკომმა, მისმა პირველმა მდივანმა ბორის სარალიძემ, აღმასკომმა და ბიუროს ყველა წევრმა მხარი დაუჭირეს ახალგაზრდებს. 1977 წლის 15 აპრილს მესტიის პარტრაიკომის ბიურომ გზა დაულოცა სვანი ახალგაზრდების ამ პატრიოტულ თაოსნობას.

მულახელებმა რაიონის მთავარ არქიტექტორს ნუგზარ ჩხეტიანს სპორტული დარბაზის პროექტის შექმნა თხოვეს. ნუგზარი ჯერ მულახს ეწვია, დაათვალიერა სპორტული სარბიელისთვის შერჩეული ადგილი, გაითვალისწინა ყველა შესაძლებლობა და ერთ კვირაში პროექტიც მზად იყო. უნდა აეშენებინათ ერთი დახურული დარბაზი, საჭიდაო და კრივის სარბიელი საჭირო სათავსოებით, სოფლის კომკავშირული ორგანიზაციისა და ფიზკულტურის მეთოდისტის სამუშაო ოთახებით, დარბაზის გვერდით კულტურის სახლი წამოიმართებოდა, მეორე მხარეს კი — ზაფხულის საცურაო აუზი, ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორი.

გადაწყდა ამ კომკავშირულ-სპორტულ კომპლექსს მინიჭებოდა მულახის მკვიდრის, სახელოვანი მთამსვლელის ილიკო გაბლიანის სახელი. მშენებლობა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისთვის უნდა დაემთავრებინათ.

ყველგან მისასვლელი პირი ჰქონდათ!

ქვასა და ქვიშას მულახურას ნაპირებზე რა გამოლევს. ეს არ ადარდებდათ ყმაწვილებს. ხის მასალაც ბევრი ემოვებოდათ, უშგულიდან ათობით წისქვილის ქვასაც მოიტანდნენ. საქმე ცემენტის, რკინის არმატურის, დასახური თუნუქის შოვნა და მერე მისი გადმოზიდვა იყო. აქ კი სვანი ახალგაზრდობის წინა წლებში გაწეულმა შრომამ და მოპოვებულმა ავტორიტეტმა უშველა. დიახ, ამ ახალგაზრდებს ყველგან მისასვლელი პირი ჰქონდათ.

გამოინახა საჭირო მასალა. გადმოზიდვაზე მიდგა საქმე. რომელი ავტომანქანა იკისრებდა სვანეთის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ და სახიფათო გზებზე სიარულს? პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ივლიანე თოდუამ ხელი გაუწოდა ახალგაზრდებს, მისივე შუამდგომლობით პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტიც ჩაერია საქმეში და მეორე დღეს ცემენტით დატვირთული 15 მანქანა შეუყვა ენგურის ნაპირებს. ახლა ჯერი თვით მასალებზე მიდგა.



აქ ყველა მშენებელია!

მულახის სპორტული კომპლექსის პროექტს რომ დახედავთ, გაოცებას ვერ დაფარავთ. ინჟინრის, სპეციალისტი-მშენებლის გარეშე როგორ შეიძლება აშენდეს სხვადასხვა ორნამენტებით, თაღებითა და სვეტებით დამშვენებული ნაგებობა? მაგრამ ისიც არ დავავიწყდეთ, რომ სვანეთში თითქმის ყველა მამაკაცი მშენებელია.

პირველი დღე, 1977 წლის 22 ივნისი. მულახელი ახალგაზრდობა, მოხუცი თუ ბავშვი მშენებლობის უბანზე უთენია გამოცხადდა. 300 უღელი ხარით ასუფთავებდნენ ქვალორღიან ველს, ეზიდებოდნენ საშენ ქვას მულახურას ნაპირებიდან.

იმ დღეს ბრიგადირების როლში გამოდიოდნენ მულახის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მიხეილ ქალდანი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე კაპიტონ ქორქოლიანი. მუჟალის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ჭიჭიკო კახიანი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ემზარ გიგანი, საშუალო სკოლის დირექტორი რაფიელ გუჯეჯიანი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ქვიტი დევდარიანი.

იმავე დღეს, სახელდახელო თათბირზე მეურნეობის დირექტორის მიხეილ ქალდანის წინადადებით გადაწყდა — თითო სოფელი ორ-ორ დღეს მომსახურებოდა სპორტული დარბაზის მშენებლობას. და ასე რიგრიგობით ჩნდებოდნენ მშენებლობაზე ჭოლაშის, ლოხისის, ჟაბეშის, ჩვაბიანის, მუჟალის, არცხელისა და სხვა სოფლების წარმომადგენლები. მშენებლობას, როგორც წესი, კომუნისტები ბაჯუ ლუხუტაშვილი, ზოია იოსელიანი, ჯულიეტა ქორქოლიანი, ჟორა კახიანი, ბაჯუ იოსელიანი და სხვები ჩაუდგნენ სათავეში.

შეუძლებელი იყო აღელვების გარეშე გეყურებინათ მოხუცი ქალებისა და მამაკაცებისთვის, რომლებიც ახალგაზრდების გვერდით გულმოდგინედ ილწვოდნენ. თავი ისახელეს 60 წელს გადაცილებულმა სემდარ გიგანმა, ონისიმე და არტემ გუჯეჯიანებმა, შამშე დადვანმა, ალექსანდრე დევდარიანმა, ავთანდილ ქორქიანმა, გალაქტიონ იოსელიანმა, ვასასი გუჯეჯიანმა, კუკულა მარგველანმა, ფოფი ნავერიანმა.

იმ დროს ვინახულე მულახის სპორტული კომპლექსის მშენებლობა, როდესაც კედლები სახურავამდე იყო ამოყვანილი და ახალგაზრდები უკვე მთავარი შესასვლელის თაღს ამაგრებდნენ. მეორე ბრიგადა გადასახურავ სისტემას ამზადებდა. მშენებელთა ერთი ჯგუფი აუზის ფსკერს ასუფთავებდა. 25-მეტრიანი აუზის კედლებისთვის უკვე ჩამოეხსნათ ხარაჩოები, ახლა ნაკადულიდან წყლის გადმოსაყვანი არხის გაჭრა იყო საჭირო.

— ალბათ, კიდევ ერთი თვე და კომპლექსის ძირითადი ნაწილი მწყობრში ჩადგება, — მითხრა ბორის კახიანმა, — შემდეგ კულტურის სახლისა და ღია მოედნების აშენებაზე ვიფიქრებთ.

ერთ საღამოს ტრაქტორისტმა ბარისტო მუკვანმა მიაკითხა მშენებლებს თავისი რკინის რაშით. კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ ტრაქტორი მაინც მუშაობდა. ერთი პირობა სინათლეც გამოირთო, მაგრამ იქვე მაშხალურებით გაჩნდნენ შერო დადვანი, კანდიდ და ნუგზარ გუჯეჯიანები, ვახტანგ გიგანი, ლადო შერვაშიძე, 70 წლის ვანო დადვანი და გვიან ღამემდე უნათებდნენ ტრაქტორისტს სამუშაო პოლიგონს.

ბნელოდა, როცა მშენებლებთან ერთად მულახურას ნაპირებისაკენ დავეშვი. გამოვემშვიდობე გამრჯე ადამიანებს.

კეთილი მეგობრები

სპორტული დარბაზის მშენებლობა საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მის დამთავრებამდე საჭირო იყო ისეთი ინვენტარის შეძენა, რაც ამ ლამაზ შენობას ნამდვილი სპორტული ბაზის სახეს მისცემდა. საზოგადოებრივ საწყისებზე ქვასა და ხრეშს კი მოზიდავ, მაგრამ ვერ შეიძენ საჭიდაო ლეიბებს, ფორმას, რინგს, ფრენბურთის ბადეს, ბურთებს.

აქ უკვე კეთილმა მეგობრებმა გაუწოდეს ხელი მულახელებს.

ჯერ იყო და, რუსთავის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა (მდივანი მერაბ ასლანიშვილი) გამოგზავნა 2000 მანეთის სპორტული ინვენტარი: საჭიდაო ხალიჩის გადასაფარებელი, 2 შტანგა, ძიუ-დოს 70 კიმონო. შემდეგ ფოთის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა გაუმართა ხელი სვან კოლეგებს. ზღვისპირელმა მეგობრებმა 1200 მანეთის ინვენტარი — საჭიდაო ფიტულები, რინგი, ელექტრომასაჟიორი და სპორტული ფორმა გამოგზავნეს. მათ არც „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო (თავმჯდომარე ვახტანგ ჟღენტი) ჩამორჩენია. ცხადია, მულახის სპორტული კომპლექსი მესტიელთა საჩუქრებითაც დამშვენდება, არც თვით მულახის საბჭოთა მეურნეობა გადგება განზე — ეს სარბიელი ხომ პირველ რიგში მისი ახალგაზრდებისთვის შენდება.

„დაგელოცოთ გამზრდელი, შვილებო!"

როდესაც მულახის მშენებლობას მივაკითხე, დარბაზის ხარაჩოებზე ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად სამუშაო ფორმაში ვიხილე კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ბორის კახიანი, მეორე მდივანი ვალერი რატიანი და მესამე მდივანი თალიკო ნაკანი. მათ შორიდან მივესალმე და ჩემს გვერდით მდგომ მოხუცს გავესაუბრე:

— კარგი საქმე დაგიწყიათ, ბატონო ჩემო!

— ჩვენ რა, ამ ახალგაზრდებს უნდა ვუმადლოდეთ! — მიმითითა მან რაიკომის წარმომადგენლებზე, — კვირაში სამ დღეს მაინც აქ არიან და შავ სამუშაოსაც არ უკადრისობენ. გამზრდელი დაელოცოთ მაგათ! თუ ყველა რაიონს ასეთი ხელმძღვანელები ჰყავს, რა გაუჭირდება ჩვენს საქართველოს!

არ ვიცი, მოხუცმა სვანმა იცოდა თუ არა მესტიის რაიონის კომკავშირელების წინამძღოლთა სპორტული ბიოგრაფია. ბორის კახიანი სსრ კავშირის ხალხთა I და II ზამთრის სპარტაკიადების ჩემპიონი იყო მოზარდთა შორის გიგანტურ სლალომში. ეს იყო 1962 და 1966 წლებში. 1964 წელს კი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. საერთოდ კი ექვსჯერ იყო თანატოლებში ჩემპიონი. მეორე მდივანი ვალერი რატიანი მიხეილ ხერგიანის გაზრდილია. 1973 წელს ცენტრალური კავკასიონის რთული ტრავერსის დაძლევისთვის იგი სსრ კავშირის მეორე პრიზიორი გახდა. თალიკო ნაკანი კი საქართველოს ჩემპიონი იყო სათხილამურო რბოლაში მოსწავლეთა შორის და შემდეგშიც არაერთხელ უსახელებია თავი. მათ გარდა კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრები არიან ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ხერგიანი, მწვრთნელი ძიუ-დოში გაიოზ ჩართოლანი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სათხილამურო სპორტში შოთა გვარლიანი და სხვები. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ამ რაიონში ამჟამად ფიზკულტურის ინსტიტუტის 50-ზე მეტი კურსდამთავრებული მუშაობს. მესტიის ქუჩებში ამაყად დადის 4 მოხუცი, რომელთა მკერდსაც სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიშანი ამშვენებს.

„ოცნებას კაცი არ მოუკლავს!"

ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ ასე დაასათაურა ერთი წერილი, სადაც იგი პიონერული ქალაქის მშენებლობაზე ოცნებობდა. სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ერთ საღამოს მუშაობის შემდეგ ბორის კახიანმა მითხრა:

— მე უკვე ვხედავ ამ სპორტულ-კულტურული კომპლექსის მომავალს. მინდა ვირწმუნო, რომ იგი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებსაც მოემსახურება, მულახი ხომ ზღვის დონიდან 1700 მეტრზე მდებარეობს. საშუალომთიან პირობებში წვრთნის ჩასატარებლად იგი ზედმიწევნით მოსახერხებელი იქნება. ეს ადგილი ახალგაზრდობის თავშეყრისა და კულტურული გართობის ცენტრად იქცევა. წარმოდგენილი მაქვს ქალაქში გასაქცევად გამზადებულ რამდენ ახალგაზრდას დააკავებს იგი. როდესაც ამ მშენებლობას დავამთავრებთ, ლატალის სოფლებს მივხედავთ. კომპლექსის გათბობის სისტემისა და სხვა სამეურნეო მოსაგვარებლად შემდგომი ორგანოების დახმარება იქნება საჭირო, და მჯერა, არც ამაზე გვეტყვიან უარს. ახალგაზრდებთან დიდი ხნის ოცნებაა — მესტიის ახლოს ალპური ბანაკის შექმნა. მაგრამ თუ გული გვიბრძვის, ყოველგვარ სიძნელეს მოვერევით. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის ან ცოტათი ადრე სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის საზეიმო გახსნას მოვაწყობთ. გეპატიჟებით, მობრძანდით და თავად დარწმუნდებით, რა შეუძლია ახალგაზრდობას!

ბოლოთქმა

კვლავ ვეწვიე მულახს. ერთი კვირის მანძილზე მშენებლობა საგრძნობლად წაწეულა წინ: იმავე დღეს ბორის კახიანმა დარეკა იმორიდან, დარბაზის გადახურვის მასალა უკვე გამოგზავნილი და თუ გულში რაღაც მწყდება, ამდენი მასშტაბის მშენებლობა საზოგადოებრივ საწყისებზე როგორ დაძლიერდება-მეთქი, ამის ფიქრის ნატამალიც გამიქრა. ახლავე ვიღებთ კომპლექსის საზეიმო გახსნაზე დასწრებას. მაგრამ მინდა ჩემთან ერთად აქ ჩამოვიდნენ ყველა „ურწმუნო თომა", რომლებზეც წერილის დასაწყისში ვწერდი, რათა უკან დაბრუნებულებმა თავიანთ სოფლის ახალგაზრდებს განაცხადონ მზადება სიახლისა. ასეთი ხელმძღვანელები საქმით უნდა გამოასწორონ ის დანაშაული, რაზეც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა: „უბედურება ის იყო, რომ ასეთ არ ეტყობოდა ინტერესი, და ადამიანები არ გრძნობდნენ პასუხისმგებლობას. ნაცვლად იმისა, რომ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის გზები და სახსრები ეძებნათ, ისინი თავიანთ უმოქმედობას ათასგვარი მიზეზით ამართლებდნენ".

დოცენტი ავთანდილ ციბაძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).

მულახი — მესტია.

სურათზე: სპორტული ნაგებობის მშენებლობის მომენტები.

შენი ნახელავი მაინც სხვაა

დილიდანვე საკმაოდ ცხელოდა. ნაშუადღევს ცა მოიქუფრა და გაავდრება დააპირა. თუმცა ამან მაინც ვერ შეაშინა დაბა კულაშისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი. დიდმა და პატარამ, მოხუცმა და ახალგაზრდამ ყაზბეგის ქუჩას მიაშურა. აქ მათ საინტერესო სანახაობა ელოდათ — პირველი საფეხბურთო მატჩი მათივე ხელით შექმნილ სტადიონზე!

დაბას სპორტული მოედნები და ნაგებობანი არ აკლია, მაგრამ სხვისი აშენებული მაინც სხვისია. საკუთარი უნდოდათ აქაურ ახალგაზრდებს და აისრულეს კიდეც წადილი. ენთუზიასტების ერთმა ჯგუფმა სერგო დადიანის მეთაურობით გადაწყვიტა ხელი მოეკიდა ამ საქმისთვის. ყაზბეგის ქუჩაზე გამოინახა შესაფერი ადგილი. სადაბო საბჭოს აღმასკომისაგან აიღეს ნებართვა და საქმესაც შეუდგნენ. მერე თანდათან იმატა თანამოაზრეთა რიცხვმა. ორი თვის განმავლობაში თავდაუზოგავად მუშაობდნენ ენთუზიასტები: სერგო დადიანი თავისი ვაჟებით, გიული ჩაჩუა, ვაჟა ფრანგიშვილი, თამაზ ახობაძე, ამირან ქიკაიძე, ზაურ ანთაძე, გურამ ხვედელიძე, ზურაბ ჯოლაია, სოსო კვინტრაძე, ავთანდილ ტვანია, ვიტალი კიკალიშვილი და მრავალი სხვა.

და აი, დადგა სპორტული მოედნის გახსნის დღეც. მოიწვიეს სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც საქართველოს პირველობაზე გამოდის.

უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, უმეტესად ახალგაზრდობამ. მასპინძლებმა სამი ბურთი გაიტანეს, რასაც სტუმრებმა ერთით უპასუხეს. აღფრთოვანებული მაყურებელი ტაშით აჯილდოვებდა მოთამაშეებს. შეხვედრის დასასრულს კულაშის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. მეგრელიშვილმა სტუმრების გუნდს სამახსოვრო თასი გადასცა.

ა. ეჯიბაძე.

ის საჭიდაო ქვა

დიდ სპორტში სულ ცოტა ხნის წინათ დამკვიდრდა იაპონური ჭიდაობა ძიუდო და უკვე მოასწრო საერთაშორისო აღიარების მოპოვება. ამ ეროვნულმა სახეობამ ჩვენს თვალწინ დაიპყრო მილიონთა გულები და ახლა ძიუდოს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მისდევენ. ბუნებრივია, იაპონელ ფალავანთა წარმატებანიც — ეს მშვენიერი სანახაობა ხომ იმთავითვე მათი საკუთარი, ეროვნული სპორტის სული და გული იყო...

ასეთივე გასაგები და ლოგიკურია ქართველ მოჭიდავეთა ის ბრწყინვალე გამარჯვებები, არაერთხელ რომ მოუპოვებიათ მსოფლიოსა თუ ოლიმპიურ სარბიელებზე. ამ წარმატებათა ფესვები ჩვენი ეროვნული, ქართული ჭიდაობის სიღრმეებშია დამარხული. ძნელია საქვეყნოდ განთქმული ისეთი ქართველი ფალავნის დასახელება, ნახერხმოყრილ საჭიდაოზე რომ არ აედგას ფეხი.

სპორტის ეროვნული სახეობანი — მარტო მომავალი ჩემპიონებისთვის, მარტო სპორტული გამარჯვებებისთვის როდი გვჭირდება. ეროვნული სული ცეკვას, სიმღერას და თუნდაც ვაზის სიყვარულის გარდა ქართველ კაცს სპორტშიაც ჩაუქსოვია. თამაში იყო თუ ორთაბრძოლა, „კეჩნაობა" ერქვა მას თუ „ლიშანში სროლა" საუკუნეებში მოჰქონდა თაობებს — რაინდობას, ვაჟკაცობასა და კეთილშობილებას სტოვებდა სამომავლოდ.

ყველა საფალავნო სანახაობას ძველთაგან უამრავი მაყურებელი ჰყოლია ჩვენში. არცერთი თავშეყრა, ლხინი თუ რაიმე დღესასწაული სპორტული შეჯიბრების გარეშე არ ჩაივლიდა. ჯერ მარტო ხევსურული „კეჩნაობა" რადა ღირდა! მიუხედავად სისხლისა, მეტოქეები ერთმანეთს რომ ადენდნენ, იგი მაინც უმაღლესი ვაჟკაცობისა და სიმამაცის გამოხატულება ყოფილა. „ხევსური მუდამ იმას ცდილობს — მოპირდაპირე მსუბუქად დაჭრას, ხმალს მაჯიდან იქნევს. მძიმედ დაჭრა დიდი სირცხვილია, დამჭრელის სილაჩრეს ცხადყოფს — შეშინებულს ვეღარ გაუგავ ხმალ როგორ მაუქნევავისო — იტყვის ხევსური". ვაჟას ამ სიტყვებში აშკარად ჩანს „კეჩნაობის" სპორტული, რაინდული სული.

ფშავ-ხევსურეთშივე იმართებოდა „ლიშანში სროლა". გამოაცხობდნენ ხმიადს, ნამცხვარის შუაგულში ჭიქის ძირზე მრგვალად მოჭრილ ქაღალდს დაამაგრებდნენ და იწყებოდა მეთოფეურთა შეჯიბრება. მარჯვე მსროლელი ხალხის საერთო ქებასა და სიყვარულს იმსახურებდა. კარგი მსროლელი ყოფილა თვითონ ვაჟა ფშაველაც. ვახტანგ რაზიკაშვილი იგონებს: „ერთხელ ხატში, აფხუშობას კაი ხანი გაგრძელდა ყაბახზე სროლა. ვერავინ ვერ მოარტყა. სთხოვეს ლუკას ჩამოსულიყო სასროლ გორზე და ესროლა. ლუკა ადგილიდან არ დაძრულა. მოითხოვა თოფი და მუხლზე დამჯდარმა სუფრის გვერდიდან ესროლა ყაბახს. ყაბახი დაგორდა. ყარაულმა მაღლა აიტაცა ხმიადი და დაიძახა: ვაჟას გაუმარჯოს! — ხმიადს ქაღალდზე ეტყობოდა ნატყვიარი".

ქართლის ბევრ სოფელში, რაჭასა და სვანეთში დღესაც შემორჩენილა ეკლესიის ეზოებში მიწაში ღრმად ჩაფლული დევერხანა ქვები. დღეს თითო-ოროლა ბერიკაცმაღა თუ იცის იმათი დანიშნულება — ამ ვეებერთელა ლოდებს თურმე საჭიდაო ქვებს ეძახდნენ. სიმძიმეების აწევა ჩვენში ერთ-ერთი საინტერესო საფალავნო სანახაობა ყოფილა. ლოდის ამწევთათვის ინიშნებოდა ჯილდო, შემოღებული ჰქონიათ ქვის აწევის წესები და ნორმები — ქარის გატარება, მუხლამდე, მკერდამდე აწევა, თავზეით და ცხენზეით გადაგდება. მრავალი ხალხური თქმულება მოიხსენიებს სპორტის ამ უძველეს სახეობას, ამირან სულკალმახელისძე პირველი ქართველი დევგმირია, საჭიდაო ქვას რომ შესჭიდებია...

სამეგრელოში მოხუცებს დღესაც ახსოვთ ცნობილი ფალავნები, შიშველი ხელებით რომ ამარცხებდნენ გაავეშებულ ბუღას და თუკი წარმოვიდგენთ როგორი სიჩაუქე და ფიზიკური ღონეა ამისთვის საჭირო, ნამდვილად შეგვეცოდება თანამედროვე კორიდის არენაზე ცხენოსანი პიკადორებით, ბანდერილიორებითა და მატადორებით გარშემორტყმული, ბარიერთან მიმწყვდეული ხარი...

ძველ თბილისში, გორში, თელავსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ხშირად იმართებოდა კრივი. ერთმანეთს ებრძოდა მოწინააღმდეგეთა ორი ჯგუფი, ხშირად ქალაქის ორი უბანი. დაუწერელი კანონის ძალით კრივის დროს დანის, კეტის ან ქვის ხმარება სასტიკად იკრძალებოდა. შეჯიბრება მასობრივი იყო, უამრავი ხალხი მონაწილეობდა და მეფის მთავრობისადმი ხალხის უკმაყოფილებითა და ბუნტით დაშინებული ჟანდარმერია მუდამ კრძალავდა ეროვნული სპორტის ამ საინტერესო სახეობას.

ყველაზე მეტი ქომაგი მაინც ჭიდაობას ჰყოლია. უქმე დღეებში, სოფლად თუ ქალაქად, გულისამაჩქროლებლად აჭიჭყინდებოდა ზურნა, აბაგუნდებოდა დოლი და დიდსა და პატარას ძარღვებში ქაფქაფა ტალღებად დაუვლიდა სისხლი... სწორედ ქართულმა ჭიდაობამ გამოუზარდა საქართველოს კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა, სანდრო კანდელაკი და არსენ მეკოკიშვილი, გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე და ლევან თედიაშვილი...

ქართველი კაცი ჭიდაობას, როგორც საერთოდ სპორტის ყველა სხვა სახეობას — ომის, ბრძოლის ხატად სახავდა. ალბათ ამიტომაც მიუძღვოდა წინ ქართულ ლაშქარს დამკვრელების დასტა და მტერთან საბრძოლველად „საჭიდაოთი" აგულიანებდა.

რა თქმა უნდა სპორტის ბევრმა ეროვნულმა სანახაობამ თუ თამაშმა კარგა ხანია დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ზოგიერთი მათგანი დღევანდელი ყოფის შესაფერმა სახეობამ შეცვალა, მაგრამ ქართული ჭიდაობა, ისინდი, ცხენბურთი და სხვანი კვლავაც დიდ გულისყურსა და მოვლას საჭიროებენ. აქვე არ შეიძლება გულისტკივილით არ გავიხსენოთ უსამართლოდ მივიწყებული ლელობურთი, რომლის დარჯაკში გამოვლილი ბიჭები ვინ იცის რა შორს გაიტანდნენ ჩვენებური რეგბის სახელს.

დღეს იმედის მომცემი, სასიხარულო ფაქტის წინაშე ვდგავართ — ბოლო ხანებში ერთობ იმატა იმათმა რიცხვმა, ვინც სწორად გაიგო სპორტის ეროვნულ სახეობათა ფასი და სიკეთე. განა შეიძლება იმის დაუნახაობა, რომ ქართული სპორტის ეს უბანი თანდათან და სულ უფრო მეტი დაჟინებით ამჟღავნებს აქეთ მობრუნების ნიშნებს? უკვე დადგა დრო ერთხელ და სამუდამოდ მოვიშოროთ არაფრისმაქნისი გულგრილობა, ხელფეხს რომ გვიბორკავს და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რათა დღეს თუ არა ხვალ მაინც ავწიოთ ის საჭიდაო ქვა, სპორტის ეროვნული სახეობანი რომ აწერია ზედ.

ნ. შატაიძე.

ჩემპიონატის ქრონიკა

17 აგვისტოს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ 6 მატჩი.

„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო" (კიევი) 1:0. გოლი 86-ე წუთზე გაიტანა კუცევმა.

„არარატი" (ერევანი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) 3:0. გოლების ავტორები არიან არუთინიანი (30-ე წთ.), ხაჩატრიანი (44), ოგანესიანი (84).

„ქაირათი" (ალმა-ათა) — „დინამო" (მოსკოვი) 2:2. გოლები გაიტანეს: მოსკოველთაგან გერშკოვიჩმა (58) და იაკუბიკმა (81), ალმაათელთაგან კისლიაკოვმა (47), ალტუხოვმა (76).

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 1:0. გოლის ავტორია კლემენტიევი (72).

„კარპატი" (ლვოვი) — „შახტიორი" (დონეცკი) 1:1 გოლები გაიტანეს ლვოველმა დანილიუკმა (42), და დონეცკელმა სტარუხინმა (66).

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 1:0. გოლის ავტორია შევჩენკო (60).

ფეხბურთი '77

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." კ.	17	7	9	1	25—8	23
„დინ". თბ.	17	7	8	2	26—16	22
„დინ". მ.	17	5	10	2	19—12	20
„შახტიორი"	17	7	6	4	18—11	20
„ტორპედო"	16	6	8	2	16—11	20
„ლოკომოტივი"	15	5	9	1	14—9	19
„არარატი"	17	6	7	4	17—14	19
„ზენიტი"	17	4	9	4	12—13	17
„ქაირათი"	17	3	11	3	14—16	17
„ჩერნომორეცი"	17	6	4	7	19—21	16
„დნეპრი"	17	6	4	7	15—20	16
„ნეფთჩი"	17	3	9	5	15—22	15
ცსკა	16	1	11	4	13—22	13
„ზარია"	17	4	4	9	14—14	12
„კარპატი"	17	2	8	7	12—18	12
„კრ. სოვეტოვი"	17	1	5	11	10—32	7

მილანიდან თბილისში ჩამოვიდნენ უეფა-ს თასის გათამაშებაში ჩვენი გუნდის პირველი მეტოქის „ინტერნაციონალეს" გენერალური ხელმძღვანელი ჯ. ბელტმანი და კლუბის საორგანიზაციო საკითხების გამგე პ. ჯიოვანი. სტუმრები დაესწრნენ მოსკოვის არმიელებთან თბილისის დინამოელთა თამაშს. ამას გარდა დაინტერესდნენ, თუ რა საყოფაცხოვრებო პირობები ექნებათ იტალიელ ფეხბურთელებს თბილისში, საპასუხო 28 სექტემბრის მატჩში (მკითხველებს შევახსენებთ, რომ პირველი მატჩი გაიმართება 14 სექტემბერს მილანში). იტალიელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანიც.

სურათზე: მეტოქე გუნდების ხელმძღვანელები მეტეხის ტაძართან — ს. მეტრეველი, პ. ჯიოვანი, ჯ. ბელტმანი (მარჯვნიდან მესამე), ს. კუტივაძე, ნ. ახალკაცი.

ს. დვალის ფოტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

ორი ტაიმის ლოგიკა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 17 აგვისტო.

„დინამო" (თბილისი) — ცსკა (მოსკოვი) 2:2 (0:2).

„დინამო": გოგია (გაბელია) ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, დარასელია, მ. მაჩაიძე, შენგელია, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე (კანთელაძე).

ცსკა: ასტაპოვსკი, საუხი, გრიგორიევი, ნიკოლაენკო, ოლშანსკი, მოროზოვი, ჩესნოკოვი, კოპეიკინი, ტარხანოვი (კოლპოვსკი), ბიჩეკი, დულიკი.

მსაჯი მ. კუსენი (ლვოვი).

გაფრთხილებულია ბიჩეკი.

დუბლიორები — 2:1. გოლები გაიტანეს: დინამოელთაგან ბაზაზაშვილმა (2), არმიელთაგან მიხალკევიჩმა.

ამ მატჩში ყველაფერი კანონზომიერი იყო — ორთაბრძოლის ცალკეული მონაკვეთები, მთელი თამაშის სურათიც და რაც მთავარია, მისი საბოლოო შედეგიც.

დინამოელებმა ფაქტიურად ოთხი ფორვადით დაიწყეს მატჩი. უცნაური ამაში თითქოსდა არაფერია — გუნდი შინ თამაშობდა, არც მეტოქე იყო მაინცდა მაინც მრისხანე (ყოველ შემთხვევაში ცსკა-ს წლევანდელი სათამაშო პოტენციალი თუ მაჩვენებლები ამის თქმის უფლებას ნამდვილად იძლევა). ასე იყო თუ ისე, თბილისელებმა ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთა შეგნებულად გააშიშვლეს. ოთხი ძლიერი თავდამსხმელი საბოლოო ვარაუდით ამ მცირე სისუსტის საკმარისი კომპენსაცია უნდა გამომდგარიყო. ალბათ ასე ფიქრობდნენ მწვრთნელები, დარწმუნებული ვარ, ასევე ფიქრობდა სტადიონზე მისული 70 ათასი მაყურებელიც.

ისე დასრულდა მატჩის 45 წუთი, რომ „დინამოს" არც უფიქრია იმთავითვე დასახულ ტაქტიკურ მონახაზზე ხელის აღება (ყიფიანისა და მაჩაიძის მიერ ცენტრალურ ნახევარმცველთა ტანდემის შექმნამ საქმეს ცოტა უშველა — ხიზანაშვილს მთელი ტაიმის განმავლობაში ორი მოსკოველის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა). სამაგიეროდ ცსკა-მ უცბათ აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და ბედის ანაბარა მიტოვებული მარჯვენა ფლანგი თბილისელთა აქილევსის ქუსლად აქცია. ჩვენი აზრით ეს არის ტაიმის შედეგის (0:2) ლოგიკურობის პირველი საბუთი.

ორმოცდახუთწუთიან ბრძოლაში უთუოდ თავისი კორექტივები შეიტანა ცენტრალურ მცველთა დუეტის განლაგების ჩვეული სქემის დარღვევამ. ხინჩაგაშვილ—ქორიძის „შემობრუნებამ" (მწმენდავის ფუნქციები მთელი ტაიმი თუ არა მეტი ნაწილი მაინც ქორიძეს ჰქონდა დაკისრებული) ვერაფერი სამსახური გაუწია თბილისელთა დაცვას. ალბათ ეს და ხინჩაგაშვილის მიერ კოპეიკინისადმი ერთობ დიდი ყურადღების გამოჩენაა (ნუ გვიწყენს ამას მოსკოველი თავდასხმელი) მეორე საბუთი.

თუ რა შეუძლია თბილისის „დინამოს", თვალნათლივ დაგვანახა მეორე ტაიმმა. პირველი ოცი წუთის განმავლობაში ცსკა-ს კარი სულ ცოტა ოთხჯერ მაინც გადაურჩა ნაღდ გოლს (აქვე უნდა აღინიშნოს მეკარე ასტაპოვსკის მართლაცდა დიდი ოსტატობა).

მოხდა ერთი შეხედვით საოცარი რამ. ფორვარდის ნახევარმცველზე „გაცვლამ" (ნახევარდაცვაში გადაინაცვლა ქორიძემ, მისი ადგილი კი თამაშიდან გასული ჩელებაძის ნაცვლად კანთელაძემ დაიჭირა) არათუ შეასუსტა, პირიქით, გააძლიერა გუნდის შეტევითი პოტენციალი. არმიელებმა უმისამართოდ დაიწყეს ბურთის მოგერიება. რა თქმა უნდა, აქ ფსიქოლოგიური ფაქტორიც მხედველობაშია მისაღები — ცსკა-ს, „დინამოსთან" მატჩის წინ ქულასაც რომ სიამოვნებით დასთანხმდებოდა, გამარჯვების შანსი მიეცა და ასეთ დროს შეტევაზე უარის თქმა ნამდვილად არ გაემტყუნება აუტსაიდერთა შორის მყოფ გუნდს.

სტუმრების კართან დატრიალებულ ქარაშოტს შედეგი არ მოჰყვა. იმ თხუთმეტიოდე წუთის მნახველი ბევრი იფიქრებს, რომ ფეხბურთი ლოგიკური თამაში არ არის. ერთი შეხედვით ასეც არის. თბილისელთა ორივე გოლი მაშინ გავიდა, როცა მინდორზე სრული თუ არა, ნაწილობრივი შტილი მაინც იდგა. თითქოსდა გადარჩენილ ქულაში მეკარე ასტაპოვსკის „ხელიც ერია", მაგრამ...

მაგრამ საქმეც ის არის, რომ გაუსაძლისმა დაწოლამ მაინც გასტეხა მოსკოველთა დაცვა, ტაიმნახევრის დაძაბულობამ მაინც თავისი ქნა და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ასტაპოვსკისაც ბოლოს და ბოლოს უმტყუნა ნერვებმა და მუხლმა.

ასე რომ, მეორე ორმოცდახუთი წუთის შედეგიც (2:0), რაც, ეჭვი არ არის, მოთამაშეთა სწორმა გადაჯგუფებამ გამოიწვია, სავსებით ლოგიკური ჩანს.

თბილისის „დინამომ" დაკარგა მეტად საჭირო ქულა. ასეთია მატჩის დებეტი, სწორედ ასევე იანგარიშებდა ნებისმიერი მარტივზე მარტივი გამომთვლელი მანქანაც კი, მაგრამ არსებობს მოვლენასთან დამოკიდებულების სხვა სახეც. ვითომ შევცდებით თუ ვიტყვით, თბილისის „დინამომ" შეიძინა მეტად საჭირო ქულა? ხომ იყო მეორე ნახევარში წუთები, როცა ბევრს (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორსაც) მართლაც დაავიწყდა მარცხიანი პირველი ტაიმი?

სადაც მოქმედებაა, იქ შეცდომებიც არის, ვინც არ იბრძვის, არ მოქმედებს, იმას არც არაფერი ეშლება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ მოქმედების, შეცდომებისა და გამარჯვებების ბევრი აღმართ-დაღმართი აქვს გასავლელი ჩვენს გუნდს.

ი. ბერიაშვილი.

ბურთები გაიტანეს: სტუმართაგან — ჩესნოკოვმა (14, 39), მასპინძელთაგან — დარასელიამ (59), ყიფიანმა (89).

• • •

სურათზე: შეტევაზეა რ. შენგელია.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მეორე ლიგაში

უკვე ვიტყობინებოდით II ლიგის IV ზონის სამი მატჩის შესახებ. გთავაზობთ დანარჩენ შეხვედრებს, რომლებიც 16 აგვისტოს გაიმართა: „გასტელო" (უფა) — „ზენიტი" (იჟევსკი) 2:1, „ტურბინა" (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „დრუჟბა" (იოშკარ-ოლა) 0:2, „ტორპედო" (ტოლიატი) — „დინამო" (კიროვი) 3:0, „დინამო" (მახაჩყალა) „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „დინამო" (სოხუმი) 2:1, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:0, „ავტომობილისტი" (ბაქო) — „არაზი" (ნახიჩევანი) 3:0, „სოკოლი" (სარატოვი) — სკიფი (ერევანი) 2:2.

ვ. ასტაპოვსკი.

ინტერვიუ

ფეხბურთის შემდეგ ისევ ფეხბურთი

გუგუნებდა სტადიონი, ყოველ წუთს მზად იყო ყიჟინით შეგებებოდა გატანილ ბურთს.

მხოლოდ ის — წარმოსადეგი და გულგრილი — მედგრად უღობავდა გზას ბურთსა და მაყურებელთა სურვილს ოვაციებით გამოეხატათ გოლით გამოწვეული სიხარული.

მატჩის დამთავრებისთანავე ტელეკომენტატორმა თ. სულხანიშვილმა კითხვით მიმართა ვ. ასტაპოვსკის.

— ვლადიმერ, ალბათ ძალიან საწყენია ბოლო წუთზე ბურთის გაშვება?

— დიახ, თუ იგი შემთხვევითია, მაგრამ დასანანი არაა თუ გოლი კანონზომიერია, როდესაც სამართლიანობა ზეიმობს. თბილისელები კი ნამდვილად ღირსნი იყვნენ ამ, თუნდაც ერთი ქულისა...

საუბარი სასტუმრო „საქართველოს" ფოიეში გაგრძელდა.

— დღეს თამაშის დროს ერთ-ერთმა მაყურებელმა აღნიშნა, რომ ასტაპოვსკი სახიფათო მეკარეა დინამოელთათვის. რას იტყვით ამაზე?

— უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ დინამოელთა საშიში მეტოქე არის ცსკა და პირიქით. 1974 წლიდან მოყოლებული ჩვენი შეხვედრები მუდამ ფრედ მთავრდება. 0:0 ან 1:1. ასეთი იყო ანგარიში ყოველთვის. დღევანდელი თამაში კვლავ ფრედ დასრულდა 2:2. პირადად მე ყოველთვის დიდი ინტერესით მოველი ამ კოლექტივთან ორთაბრძოლას, რადგანაც ვიცი, რომ ბრძოლა კორექტული და პატიოსანი იქნება.

— ცნობილია, რომ შინ თამაში ბევრად ადვილია. მიუხედავად ამისა თუ დაგვისახელებთ სტადიონს, სადაც წარმატებით გამოდიხართ?

— ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ ფაქტორს — მე ყველგან ვდგები კარში იმ აზრით, რომ ბურთი არ გავუშვა.

— მაგრამ დღეს თქვენ ორჯერ მოგიხდათ ბურთის გამოტანა ბადიდან.

— პირველი, ასე ვთქვათ, გავუშვი. მე ვგრძნობდი, რომ ბურთი ჩემსკენ მოდიოდა, მოვემზადე კიდეც შესაგებებლად და უცებ ვხედავ, რომ მან თავზე გადამიფრინა. ძნელი წარმოსადგენია.

მეორე ბურთი კი იყო ერთ-ერთი აუღებელთაგანი. ჯერ კიდევ თამაშამდე გავაფრთხილე ბიჩევი (მას დავალებული ჰქონდა ყიფიანის მეურვეობა), რომ დავითთან ძალიან მჭიდროდ ეთამაშა — ამ ფეხბურთელმა მთელი მატჩი შეიძლება ინერტულად ჩაატაროს, მაგრამ გოლს კი, უთუოდ გაიტანს-მეთქი.. მართლაც ასე მოხდა. ბიჩევს „გამოეპარა" ყიფიანის მოქმედება, თუმცა ამ სიტუაციაში სრულიად უძლური იყო.

— მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე ცსკა-ს მწვრთნელმა აგაპოვმა თქვა, რომ დღეს მან პირველ და მეორე ტაიმში იხილა მასპინძელთა სულ სხვადასხვა გუნდი. რას დაუმატებდით ნათქვამს?

— როდესაც გუნდის ყოველ მოთამაშეს დიდი ჯაფის გარეშე შეუძლია რამდენიმე მეტოქის მოტყუება, იქ არც უნდა დაისვას საკითხი — გუნდი სამი თუ ოთხი თავდამსხმელით გამოვიდეს მინდორზე. მთავარია ჭკვიანურად ითამაშო. თბილისელები აგებდნენ, მაგრამ მათ თავდამსხმელი მცველით შეცვალეს და ყველაფერი მოწესრიგდა — ჩვენ კვლავ ვიხილეთ გუნდის მოთამაშეთა ბრწყინვალე ტექნიკა.

— თქვენ დაგასახელეს 1976 წლის საუკეთესო მეკარედ. რა იყო ეს თქვენთვის — სასიამოვნო მოულოდნელობა თუ ახდენილი ოცნება?

— ერთიც და მეორეც. არ იოცნებო, ეს ნიშნავს იყო საშუალო ფეხბურთელი, ამასთან ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მრავალი ღირსეული მეტოქე მყავს ასე რომ, ეს სასიამოვნო ამბავი ჩემთვის სიურპრიზიც იყო.

— მაგრამ რითი დაიწყო ასტაპოვსკიმ?

— ბავშვობიდან ვთამაშობდი ფეხბურთს ბრიანსკში. შემდეგ საცხოვრებლად ბაქოში გადავედი, სადაც აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას ვიცავდი. საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნისას ვთამაშობდი სევასტოპოლის გუნდში, საიდანაც ბობროვმა ცსკა-ში მიმიწვია.

— კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ცსკა-ში თამაშს?

— კარიერის ბოლომდე. მე პატივს არ ვცემ მოთამაშეებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მშობლიური კლუბი. ფეხბურთის კოლექტივი დროებითი ნავსაყუდელი როდია.

— გერდ მიულერის მეუღლე არ ესწრება ქმრის თამაშს, რადგან (როგორც თვითონ ამბობს), ვერ უყურებს როგორ სცემენ თავის „თავგუნას". როგორ არის თქვენთან ბალანსირებული ეს რთული მექანიზმი „ოჯახი — სპორტი"?

— ჩემი „გალახვა" არც თუ ისე ადვილია. თუმცა სერიოზულად რომ ვთქვა, ჩემი ყველაზე დიდი თაყვანისმცემელია 7 წლის ტანმოვარჯიშე ტანია. მისი აზრით, მამამისი ყველაზე უკეთ ვცემა მინდორზე. ჟენია სდუმს, მაგრამ ეს-ეს არის წამოსცდება, რომ დროა მეც „ჩავჯდე" ოჯახში. მე კი მსურს ვითამაშო, ვითამაშო კარგად და დიდხანს.

— მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ მოგიწევთ წასვლა, რა იქნება ფეხბურთის შემდეგ?

— ფეხბურთის შემდეგ ისევ ფეხბურთი. მხოლოდ ფეხბურთი. ეს არის ჩემი სიცოცხლე.

ფეხბურთი

კვლავ ფრე

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 18 აგვისტო.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:1 (0:1).

„ტორპედო": მ. კვერნაძე, შელია, სულაქველიძე, მელიქია, ფარულავა, ოქროპირაშვილი, შვეცოვი, ქვირია, ა. კვერნაძე (სვანაძე), გაბიჩვაძე, ბურკაძე.

„სპარტაკი": ცაკოევი, პოდლუჟნი, მირიკოვი, ჩიტაური, საფრანიდი, ვასილიევი, ქერაშვილი (იაკოვლევი), ხუადინოვი, სუვანოვი, ზაზროევი, ამბალოვი.

მსაჯი ი. კაჩარი (კიევი).

ორი დღე ქუთაისში კოკისპირულად წვიმდა. წვიმდა მატჩის დროსაც. ფეხბურთელები ვერ ახერხებდნენ ბურთის სწორად მიღებასა და დამუშავებას, ცდილობდნენ მიღებისთანავე გადაეცათ პარტნიორისთვის. ხშირად უმიზნოდ იცილებდნენ ბურთს თავიდან. გასაგებია, რომ ასეთ სიტუაციაში მწვრთნელებს საშუალება არ ჰქონდათ მოთამაშეებისგან გამიზნული კომბინაციური თამაში მოეთხოვათ. მიუხედავად ამისა, მატჩი მაინც საინტერესოდ წარიმართა. ეს იმანაც განაპირობა, რომ გუნდები სატურნირო ცხრილში მეზობლად არიან განლაგებული.

თამაში სტუმრებმა დაიწყეს და უკვე მე-3 წუთზე ამბალოვი შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე და მეკარე კვერნაძის თავგანწირული ნახტომი რომ არა, ბურთი ბადეში აღმოჩნდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ბურკაძის ძლიერად დარტყმული ბურთი მცირე მანძილით აცდა კარს.

მასპინძელთათვის საბედისწერო გამოდგა 36-ე წუთი: ამბალოვმა კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავური დარტყმით ბადეში მოათავსა.

შესვენების შემდეგ კვერნაძის ნაცვლად თავდასხმაში გადაინაცვლა შელიამ, რომლის აქტიურმა თამაშმა გამოაცოცხლა ტორპედოელთა შეტევები. სტუმრების კართან გახშირდა კრიტიკული მომენტები. და აი, მე-60 წუთზე შვეცოვმა ისარგებლა მეტოქეთა საჯარიმო მოედანზე შექმნილი არევ-დარევით და ახლო მანძილიდან გაიტანა გოლი — 1:1.

დარჩენილ დროში ტორპედოელები გამუდმებით უტევდნენ და ორჯონიკიძელთა მეკარე ცაკოევს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა. ანგარიში აღარ შეცვლილა. ისე როგორც წინა მატჩში, ტორპედოელები ქულას დასჯერდნენ.

ზ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ფოთელი სპორტსმენები არდადეგების დღეებში

ფოთელ სპორტსმენებს საზაფხულო არდადეგები ხელს სულაც არ უშლის დაოსტატებაში, სისტემატურ ვარჯიშში, შეჯიბრებების გამართვაში. ეს სურათები ერთ დღეს არის გადაღებული. მათზე სპორტის ორი სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები არიან აღბეჭდილი. მარცხენა ფოტოზე თქვენ ხედავთ ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის სტუდენტებს, რომლებიც მესამე შრომით სემესტრს თავიანთ ქალაქში გადიან. ისინი თავისუფალ დროს ხშირად თამაშობენ კალათბურთს. მეორე სურათზე აღბეჭდილია ნიჩბოსანთა შეჯიბრება.

ა. კავკასიძის ტექსტი და ფოტოები.

ჭადრაკი

იოსელიანის ორი გამარჯვება

პეტროზავოდსკი, 19 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში შედგა კიდევ ორი (VIII, IX) ტურის შეხვედრები.

VIII ტურში ნ. იოსელიანმა (თბილისი) მოუგო რ. კოსეს (სამარყანდი), გ. სტრუტინსკაიამ (მოსკოვი) — გ. პეტრუშევას (ნოვოსიბირსკი), ლ. კულიკოვამ (დნეპროპეტროვსკი) — ა. გრინფელდს (კალინინგრადი), ტ. მოროზოვამ (ოდესა) — ტ. ფომინას (ტალინი), ო. იგნატიევამ (მოსკოვის ოლქი) — ა. მკრტჩიანს (ტაშკენტი). ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) — მ. სამულის (ტალინი), ვ. სტერნინა (მოსკოვი) — მ. სოკოლოვსკას (რიგა) პარტიები ყაიმით დამთავრდა. გადაიდო ტ. შმაკოვა (ნოვოსიბირსკი) — ი. რამანეს (რიგა) პარტია.

IX ტურში კვლავ გაიმარჯვა იოსელიანმა (სოკოლოვსკასთან). სამულმა დაამარცხა სტრუტინსკაია, სტერნინამ — ფომინა, ზატულოვსკაიამ — მკრტჩიანი. ყაიმით დამთავრდა პეტრუშევა — შმაკოვას, კულიკოვა — მოროზოვას, კოსე — იგნატიევას შეხვედრები. გადაიდო — რამანე — გრინფელდის პარტია.

9 ტურის შემდეგ ლიდერობს ნ. იოსელიანი — 7 ქულა. 6,5 ქულა აქვს ლ. კულიკოვას, მ. სამულს — 6 (1), ტ. ზატულოვსკაიას — 6.

ს. ჩეჩელიანი,
სპორტის ოსტატი.

●

ათი ტურის შემდეგ

დაუგავპილსი, 19 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა 37-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიმართა ორი ტური (IX,X) და გადადებული პარტიების დამთავრება.

IX ტურში ლ. სემიონოვამ (კიევი) მოუგო ა. ოზოლას (რიგა). ი. ლევიტინა (ლენინგრადი) — მ. რანიკუს (ტალინი), თ. ხუგაშვილი (თბილისი) — ო. ლოპატინას (მოგილიოვი), ც. კობაიძე (თბილისი) — ლ. ბელავენეცის (მოსკოვი) შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. გადაიდო ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — ვ. დონჩენკოს (მოსკოვი), ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — თ. მინოგინას, ტ. ვორონოვა (ორივე — მოსკოვი) — ლ. პიარნპუუს (ტალინი), ი. როზენცვაიგ (ლვოვი) — მ. არლაუსკაიტეს (ვილნიუსი) პარტიები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას სემიონოვამ მოუგო მინოგინასა და ხუგაშვილს, ყაიმით დამთავრდა შეხვედრა ბორისენკოსთან და წააგო რანიკუსთან. რანიკუმ მოუგო დონჩენკოს და ყაიმით დაამთავრა პარტია როზენცვაიგთან. როზენცვაიგმა დაამარცხა არლაუსკაიტე, ალიოხინამ — მინოგინა, ვორონოვამ — პიარნპუუ.

X ტურში ოზოლამ მოუგო ლოპატინას, რანიკუმ — არლაუსკაიტეს, პიარნპუუმ — კობაიძეს, ლევიტინამ — ბორისენკოს. ყაიმით დამთავრდა ვორონოვა — მინოგინასა და ბელავენეც — როზენცვაიგის შეხვედრები. გადაიდო სემიონოვა — ალიოხინასა და დონჩენკო — ხუგაშვილის პარტიები.

10 ტურის შემდეგ ლ. პიარნპუუს აქვს 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ი. ლევიტინას (2), მ. რანიკუს (2), ო. ლოპატინას, ტ. ვორონოვას — 5,5 ქულა, თ. ხუგაშვილს (1), ლ. სემიონოვას (2), ა. ოზოლას, ლ. ბელავენეცს — 5 ქულა, ც. კობაიძეს — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ა. გლაგიძე,
სპორტის ოსტატი.

●

ნახევარი ქულაც და...

ჟენევაში (შვეიცარია) ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტებს ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და ლ. პორტიშს (უნგრეთი) შორის შედგა XIV პარტიის დამთავრება. გაიმარჯვა სპასკიმ და ანგარიში გახდა 8:6 მის სასარგებლოდ. დარჩენილ ორ პარტიაში სპასკის ნახევარი ქულაც ჰყოფნის ფინალში გასასვლელად.

სკოლა კავშირის გარეშე

დოსააფის გორის ტექნიკური სკოლის (უფროსი შ. კოტია) კურსდამთავრებული ავტომობილისა თუ მოტოციკლების მძღოლები ნაყოფიერად შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ბოლო სასწავლო წელს მძღოლთა მომზადების დავალება სკოლამ 102 პროცენტით შეასრულა. 304 ავტომოყვარული და 108 მესამე კლასის შოფერი — ასეთი იყო წლის სტატისტიკური მონაცემები.

სკოლის მსმენელებს ფიზკულტურა და სპორტიც უყვართ, სპორტის ოსტატ ვ. შიუკაშვილის ხელმძღვანელობით სწავლობენ მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლას, მომავალ მძღოლებს, ტყვიის სროლის გარდა მშდ კომპლექსის სხვა სახეობებიც იტაცებთ. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სამასამდე კაცმა უკვე ჩააბარა მშდ-ის ნორმატივები.

სკოლას კარგი პერსპექტივები აქვს. სულ მალე მას ორი სასწავლო ოთახი შეემატება, მწყობრში ჩადგება მაღალჭერიანი სადგომი სასწავლო ავტომობილებისა და ამწეებისთვის.

დიდად გაიხარეს დოსააფელებმა ათი წლის წინ სკოლის ახალ შენობაში რომ გადავიდნენ. თუმცა... სიხარული ნაადრევი გამოდგა. უჭირთ უტელეფონოდ დარჩენილებს... ტელეფონს თავი რომ დავანებოთ, სკოლის კანალიზაციაც არ მუშაობს ხეირიანად. გორის წყალ-კანალიზაციის სამმართველო ამ საქმის მოსაგვარებლად თავსაც არ იწუხებს, აქაოდა პროექტით არ იყო გათვალისწინებულიო.

ი. თევდორაშვილი
(ჩვენი კორ).

გორი.

თბილისის სპორტულ [illegible]

რეგბი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 21 აგვისტო. სსრ კავშირის ჩემპიონატი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ელვა" (თბილისი). დასაწყისი 17 ს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99 66 14 93 97 60; რედაქტორის მოადგილე — 99 66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97 62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99 81-71, 93 97 56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93 97 55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-59; მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის — 93 97 58; ჭადრაკის—93-97-51; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93 97-49; გამომშვები — 93 93 81; ფოტოლაბორატორია — 93 97-68; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02246